ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 6 მარტის

მორიგი სხდომის

დღის წესრიგი

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: აკაკი ლურსმანაშვილი

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: პეტრე შარიქაძე

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

4. .ხარაგაულის მმუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული,სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: ოთარი ლურსმანაშვილი

5,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №17 დადგენილებაში - ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

6. ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 სექტემბრის №31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 6 მარტის მორიგი სხდომის
ოქმი N4

დაბა ხარაგაული 2023 წლის 6 მარტი

9 აპრილის ქუჩა #15

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები:

დავით კიკნაძე, ამირან ოქრომჭედლიძე პაატა გოგოლაძე, მარინა ხვედელიძე, ბესიკ კვირიკაშვილი, პავლე კიკალიშვილი, შმაგი ხიჯაკაძე, ოთარ ლურსმანაშვილი, შალვა ლურსმანაშვილი, ნონა ზურაბიანი, ირმა ვაქერ- სებისკვერაძე, უშანგი ბერაძე, კიაზო გამრეკელაშვილი, ვერა ოდიკაძე, მერაბ ტალახაძე, დოდო ხაჩიძე, იამზე პაქსაშვილი, ლენა აბაშიძე, გოჩა გიორგიძე, ვახტანგ ტალახაძე, ავთანდილ ვეფხვაძე, ეკატერინე შველიძე, კობა გოგსაძე, ირმა ვეფხვაძე, ომარი გაგოშიძე, კოსტანტინე ბერაძე სულ საკრებულოს 27 წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენლები:

ვარლამ ჭიპაშვილი - მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე,

პეტრე შარიქაძე მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი,

კახაბერ გოლუბიანი მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი სამსახურის უფროსი,

აკაკი ლურსმანაშვილი მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის უფროსი,

საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:

ლენა კალანდაძე საკრებულოს აპარატის უფროსი,

ზაალ ორბელაძე საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში,

მარიამ შარიქაძე დამხმარე მოსამსახურე

ივანე ჭიპაშვილი საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

ე. შველიძე ა.ა.ი.პ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრი"-ს დირექტორი.

მ. ბაბლიძე- მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომელი,

თ. გოგოლაძე გაზეთ „ჩემი იმერეთი" - ს ჟურნალისტი,

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარისმანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, მან საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი

დღის წესრიგი

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: აკაკი ლურსმანაშვილი

2. ხარგულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: პეტრე შარიქაძე

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ მერიის

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

4. .ხარაგაულის მმუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული,სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: ოთარი ლურსმანაშვილი

5ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №17 დადგენილებაში - ცვლილების შეტანის თაობაზე,,

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

6. ,, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 სექტემბრის №31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 27 წევრი

მომხრე 27

წინააღმდეგი 0

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის უფროსის აკაკი ლურსმანაშვილის ანგარიში სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

პავლე კიკალიშვილმა - საკრებულოს საფინანსო -საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, მან აღნიშნა, რომ ანგარიში განხილული იქნა კომისიის სხდომაზე, ვიმსჯელეთ, ანგარიშში წარმოდგენილ ხარვეზებზე, კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება საკითხი გატანილი იქნეს

საკრებულოს სხდომაზე, კომისიის წევრთა უმრავლესობის აზრით დაისვა წინადადება სამსახურის საქმიანობა შეფასდეს დადებითად.

კობა გოგსაძემ, რომელმაც მომხსენებელს მიმართა კითხვით თუ რა კრიტერიუმებით მოხდა შერჩევა შესამოწმებელი ობიექტების და რატომ არ შემოწმდა შპს „ხარაგაული - 2011“,

-რით იყო გამოწვეული საბავშვო ბარებში ხარჯის ზედმეტობა და დაგვიანებულ ტენდერებზე თუ ვინმეს დაეკისრა პასუხისმგებლობა, ადმინისტრაციული სასჯელი მაინც.

ა. ლურსმანაშვილმა, მომხსენებელმა განმარტა, რომ შპს „ხარაგაული - 2011“, იყო შემოწმებული და ამიტომ 2022 წლის სამუშაო გეგმაში აღარ შევიდა, რაც შეეხება თანხების ზედმეტობას ეს გამოწვეული იყო ბავშვთა რაოდენობიდან გამომდინარე დატვირთვის გათვალისწინებით.

ვ. ჭიპაშვილმა მერის პირველმა მოადგილემ განმარტა, რომ ტენდერთან დაკავშირებით ხარვეზებზე რეაგირება შესყიდვების სააგენტოს მიერ ხორციელდება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა პავლე კიკალიშვილის წინადადება სამსახურის საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 27 წევრი

მომხრე 23

წინააღმდეგი 1

თავი შეიკავა 3

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის პეტრე შარიქაძი ანგარიში სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

შ. ლურსმანაშვილმა ფრაქცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარემ მან კითხვით მიმართა მომხსენებელს თუ რა მონაკვეთზე ვრცელდებოდა ხარაგაულის ტერიტორიაზე გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე საამშენებლო კომპანიის „ბლექსი“ -ს პასუხისმგებლობა და თუ არის გადავადებები

პ. შარიქაძე მომხსენებელმა უპასუხა, რომ ბლექსის ეკუთვნის სოფელ ბაბამდე მონაკვეთი და გადავადებები არ ყოფილა.

ო. გაგოშიძე ფრაქცია „ხარაგაულისთვის“ თავმჯდომარის მოადგილემ კითხვით მიმართა მომხსენებელს და მოითხოვა წერილობითი ინფორმაცია დასრულებული პროექტების პირობებში ,რამდენი ცვლილება განხორციელდა.

პ. შარიქაძემ უპასუხა წარმოადგინეთ მოთხოვნა და ინფორმაციას მოგაწვდით.

შ. ხიჯაკაძემ საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, აღნიშნა, რომ სოფელ ვარძიაში ცენტრალური გზის სამუშაოების გაგრძელების შანსი თუ არის,

დ. დევდარიანმა, მერის მოადგილემ უპასუხა, რომ თანხა გვაქვს, გაკეთდება პირველი რიგის სამუშაოები, დამატებით თანხას კიდევ მოვითხოვთ და პრობლემები ეტაპობრივად მოგვარდება,

ბ. კვირიკაშვილმა ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ანგარიში განიხილა კომისიის სხდომაზე, სამსახური ნამდვილად

კარგად მუშაობს, დაგეგმილი სამუშაოების 99.9 % -ით შესრულებულია, ვაყენებთ წინადადებას

სამსახურის საქმიანობა შეფასდეს დადებითად,

სამსახურის საქმიანობა დადებითად შეაფასეს ნ. ზურაბიანმა. და დ. ხაჩიძემ

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკრებულოს წევრთა წინადადება სამსახურის

საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 27 წევრი

მომხრე 27

წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის კახაბერ გოლუბიანის ანგარიში სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

დ. კიკნაძემ საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, რომელმაც დასვა წინადადება სამსახურის საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დ. კიკნაძის წინადადება სამსახურის საქმიანობის

დადებითად შეფასების თაობაზე

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 27 წევრი

მომხრე 24

წინააღმდეგი 0

თავი შეიკავა 3

საკრებულომ გადაწყვიტა : განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული,სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ოთარი ლურსმანაშვილის ანგარიში კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

პ. გოგოლაძემ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, მან აღნიშნა, რომ კომისია მუშაობს გამართულად, სხდომები ტარდება, პასუხისმგებლობით ეკიდებიან დაკისრებული მოვალეობის შესრულებას, აქვთ სამუშაო გეგმა შედგენილი და საკითხების განხილვა მიმდინარეობს გეგმიურად, ანგარიშიდანაც ჩანს, რომ კომისია კარგად მუშაობს, შემოვდივარ წინადადებით კომისიის საქმიანობა შეფასდეს დადებითად.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა პაატა გოგოლაძის წინადადება კომისიის საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 27 წევრი

მომხრე 27

წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა : განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის კახაბერ გოლუბიანის ინფორმაცია საკითხზე „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №17 დადგენილებაში - ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის).

საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა დადგენილების პროექტი
კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 27 წევრი

მომხრე 24

წინააღმდეგი 0

თავი შეიკავა 3

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის კახაბერ გოლუბიანის ინფორმაცია საკითხზე „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 სექტემბრის №31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის).

საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა დადგენილების პროექტი
კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 27 წევრი

მომხრე

წინააღმდეგი

თავი შეიკავა 3

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**